F786ს 7191

ორშაბათი 17 აპრილი

ფასი 10 კაპ.

რედაქტორი: კატო მიქელაძე

გამომცემელი ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

გაზეთის ფასი:		განცხადებათ ფასი:	
1 წლით	6 მ.	პირველ გვ. პეტიტი	25 კ.
6 თვით	3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ.	15 კ.
1 ნახ. წლ.	1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო განცხადება	5 მ.
1 თვით	80 კ.		

რედაქციის ადრესი: 1 ალექსანდროვის ქ. სახლი თევდორაძისა ქუთაისი.

№ 2 ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 2

~~469~~ 529 ~~№3304~~

მარქსის სახ. საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

1423. 1382

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებო მოითხოვეთ საარჩევნო ხმის უფლება

ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა.

ამიერ კავკასიის მთავრობამ თავისი პროგრამა გამოაქვეყნა. მოსალოდნელი იყო მრავალ საჭიროებათა შორის აღნიშნული იქნებოდა იქ ერთი უმთავრესი საჭიროებაც, რომელსაც წარმოადგენს აღდგენა დედაკაცის ადამიანური უფლებისა. მაგრამ როგორც ეტყობა ადგილობრივი მთავრობა ამისათვის თავს არ იცხელებს. პროგრამა ეხება სვინიდისის თავისუფლების განხორციელებას, ქალაქის საზოგადოებრივ თვით მმართველობის მოწყობას, ერობის შემოღებას, ტრანსპორტს, სასკოლო საქმეს, მიწის და სხვა[illegible] უფლებისას. ასე გასინჯეთ თვით იმ კაბინეტმაც კი, რომელსაც დამფუძნებელი კრების გადასაწყვეტად სტოვებენ არ ურევია საკითხი ქალთა სწორუფლიანობისა. კავკასიის განსაკუთრებითი კომიტეტის წევრებათ ითვლება 5 კაცი, რომელნიც ხელს აწერენ პროგრამას.

თავმჯდომარე ხარლამოვი, წევრები: პაპაჯანოვი, ჯაფაროვი ჩხენკელი და აბაშიძე. ჩვენ არ ვიცნობთ პირველ სამს. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ორს უკანასკნელს ს. დ. ა. ჩხენკელს და ს. ფ. ივ. აბაშიძეს, რომელთა პარტიები, როგორც თავიანთ პროგრამებში, ისე თავიანთ ბეჭდითი ორგანოებში აღიარებენ ქალთა ხმის უფლებას და ქალთა სრულს ემანსიპაციას.

და თუ ეს დაპირებანი ცარიელ ქაღალდებზე არ რჩება და ორთავე აღნიშნულ პარტიების წარმომადგენელთ გულით კი სწადიათ ქალთა პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლების აღდგენა, სად არის მათი ხმა, მათი გავლენა და რათ იქნა მივიწყებული ნახევარი კავკასიის მცხოვრებთა ადამიანური პიროვნება და მისი უფლება? ასეთი მწველი საკითხის მიყრუება ერთობ ჩამაფიქრებელია კავკასიის ქალებისათვის და განსაკუთრებით ქართველი ქალისათვის. და ვისაც კიდევ არ დაუკარგავს რწმენა, რომ ესა თუ ის პარტიული მამაკაცები აღადგენენ ქალთა უფლებას და ამ იმედით დუმილით მოელიან სწორ-უფლიან მოქალაქეთა რიცხვში ჩარევას, ასეთი ქალები ვამბობ მე, წააგავან იმ გულუბრყვილო ბავშვებს, რომლებსაც რაიმე შეწუხების დროს უფროსები უეჩნებიან: „შენ [illegible] არ იტირო და მე ბზრიალას მოგიტანო:“ და ისინიც უჯერიან და ელოდებიან დაპირებულ საჩუქარს.

დროა ქალებო გონს მოვიდეთ! შევურთდეთ, რომ საერთო იერიშით აღვადგინოთ ჩვენი ამდენი ხნის უპიროვნო ცხოვრება. საჩუქრებისა და მოწყალების ხანა წასულია, ბრძოლით და მხოლოდ ბრძოლაში მოვიპოვებთ ჩვენს უფლებას. რა არის შედარებით მამაკაცების ბატონობასთან ჩვენი ბურჟუა და მუშა ქალების უთანხმოება?

გახსოვდეთ, რომ საერთო ქალთა უუფლებობისა გამო ბურჟუა ქალები იმ დამოუკიდებულს ეკონომიურს კატეგორიას არ წარმოადგენენ, რომელთანაც ფაქტიურად უნდა მოგვიხდეს ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა. მესაკუთრენი მათი ქმრები არიან და არა ისინი. ან სად არის ჩვენში ისეთი კაპიტალისტების ცოლები და შვილები, რომელნიც წარმოადგენდეს განცალკევებულს უმაღლეს წრეს, რომელთა არც ძირს ჩვენთან ჩამოსვლა არ ხერხდებოდეს და არც ჩვენი მათთან ასვლა? ჩაუფიქრდეთ დღევანდელს უდიდეს ისტორიულ მომენტს და წვრილმან[illegible] ნუ ვამსხვერპლებთ უდ[illegible] სად[illegible]მნიშვნელოვან საშვილიშვილო ს[illegible]მეს. გახსოვდეთ, რომ ერთობაშია ძალ[illegible]

ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში.

> Тяжелый крест достался ей на долю:
> Страдай, молчи, потворствуй и не плачь;
> Кому и страсть и молодость и волю,—
> Все отдала—тот сталъ ея палачъ!
>
> Некрасовъ.

თუ, რომ ძველი ქართველი ქალი ოჯახის ზნეობრივი აღმზრდელი იყო, რომ[illegible] უწმაწურ სიტყვა პასუხს ვერ[illegible] ქმარი [illegible] ვერც მოწიფული შვილები ვერ [illegible] დღევანდელი ქართველი ქალი თავის ქმარ-შვილში იმდენათ აგდებული და უმნიშვნელოა, რომ არ მგონია ჩამოსულმა უცხოელმა, რომელიც ჩვენ შინაურს ცხოვრებაში ჩაიხედავს, თუ რომ კომედიანტობას არ დავიწყებთ და გულწფელად ვეჩვენებით მას, დაგვიჯეროს და სიტრაბახით არ ჩამოგვართვას თავმომწონება ჩვენი ძველი დედების ზნეობრივ და პიროვნულ სიდიადეზე.

გიკვირს და ვერ მიმხვდარხარ სად გაქრა ეგ რაინდული თავაზიანობა ქართველი მამაკაცისა, თუ კი ოდესმე არსებობდა იგი! ამ ძველი რაინდობის ნიმუშებს აქა იქ კიდევ, რომ არ ვხედავდეთ ძნელად თუ დავიჯერებდით მის არსებობას ჩვენში. ნუ თუ ასი წლის მონურმა ცხოვრებამ გააქარწყლა იგი! ჩვენ ვიცით უფრო ხანგძლივი მონობა სხვა ხალხისა, რომლისათვის წელთა სვლას არ წარუხოცია ეროვნული სულის თავისებურობა არც საზოგადო და არც კერძო ცხოვრებაში.

მაშ ჩვენ რა დაგვემართა? [illegible] ჩვენი მოწინავე საზოგადოება მას შემდეგ რაც რუსეთის ბიუროკრატიას დაუმორჩილდა მოქალაქობრივი გულის ტკივილის მაგივრად მილიტარისტული სულით გაიჟღენთა, არა მამულის სიყვარულით, რასაკვირველია, არამედ პირადი წარმატებისათვის და გარეგნული ზიზილ პიპილებით მოხიბლული, ერთგულობის დასამტკიცებლად ხელოვნურად ძალით იკლავდა გულში, როგორც ეროვნულ თავ-მოყვარეობას, ისე სულიერ თავისებურობასაც.

ტარას ბულბაზე და ანეგინზე აღზრდილი თაობა თანდათანობით კარგავდა დედაკაცისადმი პატივისცემას და ამ ნიადაგზე განათლებულმა პირებმა ქართული ოჯახური ცხოვრება რუსულ დომოსტროიზე ააგეს და შინა და გარედ ერთად ერთი ავტორიტეტი მამაკაცი გახდა. ასეთი ცვლილება ქართველ ოჯახს პირველად ქალაქებში მოხელეებთა შორის დაეტყო და შემდეგ მთელ მცხოვრებლებზე გადავიდა.

როგორათაც გასაკვირი არ არის, უნ[illegible], რომ ცოლ-ქმართა შუა[illegible]ნაური განწყობილებას, უფრო ხში[illegible] შეხვდებით მოხუცებულ სოფლის [illegible]აზნაურობაში და გლეხობაში დღე[illegible] ვიდრე ჩვენ ინტელიგენტ ოჯახებში. [illegible] არ მიიჩნია, როცა ვინმე რაიმე სა[illegible] გარდაწყვეტას მოითხოვს მისგან [illegible]უხრას: „ცოლ-შვილს დავეკითხები და [illegible]გახსენებთ“, მაშინ როდესაც ქალაქში ცხოვრებთათვის ასეთი პასუხი თითქმის, რომ სათაკილოა.

რამდენათაც სწავლა განათლებით ამ ასი წლის განმავლობაში ქართველი ქალი, მამაკაცს ჩამორჩა, იმდენათ ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში, ქმრის ავტორიტეტიც იზრდებოდა; და ასეთი მათი თვისება თანდათანობით საზოგადო ხასიათს ღებულობდა. 15 წლის წინათ ასეთს გონებრივ ჩამორჩენას ქალისას მამაკაცთან, იმდენათ ბუნებრივად სთვლიდენ, რომ სწავლა განათლების მაძიებელს ქალს რა გვარი მაღალი არ ჰყოფილიყო მისი მისწრაფება ურცხვად ეუბნებოდენ: „ქალის საქმე ოჯახობაა და არა სწავლაო“.—სულ წინააღმდეგ იმისა, რასაც ძველ საქართველოში იტყოდენ: „დედაკაცის საქმე წიგნიაო“.

ქართველი ქალის განსაკუთრებულ უბედურობას ის წარმოადგენდა, რომ მას გარედან შემოტანილ უკუღმართობის საწინააღმდიგოთ ყოველ საშუალება დაჰკარგული ჰქონდა.

როცა რუსეთში ძველი რეჟიმის გამხრწნელ თვისებებს უკეთესი ინტელიგენცია ბრძოლას უცხადებდა და ამ ბრძოლაში ქალვაჟთა შეგნებული ნაწილი თავსა სწირავდა; საქართველოს განმანათლებლად ფამუსოვ სკალოზუბოვები გახდა, რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინა ბედავდა. ოფიციალურმა და ზნეობრივმა მეშჩანობამ ქალის უდიდეს ღირსებათ გარეგნული სინაზე, მორჩილობა და სულიერი პასიურობა დასახა, და ქართველი ქალიც ასეთ ზნეობრივ ატმოსფერაში აღზრდილი ან მამაკაცთა გასართობ ნივთათ ხდებოდა, და ან სულიერათ გატანჯული ჩუმათ ცრემლებსა ღვრიდა. მესამოცე წლებში ქალის ადამიანური პიროვნების გამოსაფხიზლებლად ერთი ხმა მოისმა! და ეს ხმა იყო დიდი ნიკოლაძისა, რომელიც ჩვენი დროის ქალებისათვის შესწყდა.

ასეთი იყო ჩვენი უნაყოფო დაბეჩავებული ცხოვრება მესამე დასელების გამოსვლამდე, რომელთა გაბედულმა ყიჟინმა შეანძრია და გამოაფხიზლა ჩვენი მდორე საზოგადოებრივი ცხოვრება.

საწუხაროთ სიავე, იმდენათ ხანგრძლივი და ძლიერი იყო, რომ მან თავისი ჰქნა და დღეს საქართველოში უფრო მეტი ტარას ბულბები და ანეგინებია, ვიდრე [illegible] ქვეყნებში, სადაც ეს ტიპები დაი[illegible]ა, რომელთაც ქალთა სწორუფლიანი მომავალი ცხოვრება აოცებს [illegible] ვერ წარმოუდგენია.

ძველ ქართველ ცოლქმარს სა[illegible] საზ[illegible]ელო არა მარტო შვილები [illegible] და [illegible]მეე თვით სამშობლო [illegible] მტრ[illegible]ნ აოხრებული და განაწ[illegible] [illegible] ოჯახისათვის [illegible] ტრული იყო და ამ ნიადაგზე [illegible]ლიერი ერთობაც განმტკიცებული.

თანამედროვე საქართველოში კი [illegible] მეფებულმა კარიერისტობამ, როგორ[illegible] სამხედრო ისე სამოქალაქო ასპარე[illegible] დედაკაცის სულიერი მისწრაფება [illegible]ხით შეზღუდა, რომლის გარეშე მ[illegible] მოქმედება ზედ მეტი ჩასთვალა და ჩვე[illegible] დროის შეუღლება ყოველ სულიერ ერთობა, ნათესაობას მოკლებული საგაჭრო, მოსაგებ საგნათ იქცა. განა ტყუილა გადავარდა სიტყვა მეუღლეს ხმარება? დღევანდელს ქართველს „ჩემი ცოლის“ თქმა, უფრო ეხერხება, ვიდრე „ჩემი მეუღლესი“, რადგან მეუღლეობა ნიშნავს ორ ადამიანთა სრულ თანასწორობას, როგორც ის ორი ხარი, რომელიც ერთს უღელსა სწევენ. მაშინ, როდესაც სიტყვა ცოლი გამომხატველია მხოლოდ შინაურ, ოჯახური განწყობილებისა და კავშირისა. დიახ დღეს ჩვენ გვყავნან მორჩილობა ბატონობის გამომხატველი ცოლ-ქმარნი და არა ამხანაგური მეუღლენი.

ჩვენი პატრიოტების მუდმივ საჩივარს წარმოადგენს ქართველი ქალის გადაგვარება. „დედებიარ გვყავნან მამულისათვის შვილების აღმზრდელი“ო! და თამარ, ქეთევან, ნინოს სახელით დასტირიან ამ დაკარგულს დედებს.

ამ საყვედურთან ერთხელაც არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, თუ რა პირობებში ცხოვრობს დღევანდელი ქართველი დედა, ქმრისაგან აგდებული, უპატივცემულო ცოლი. რომლის სიტყვას არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ აქვს განა შვილებზე გავლენა ექნება?!

დღეს ქართველი ქალი არც დედაა, არც მეოჯახე და არც მოღვაწე! რასთვის? მისთვის, რომ საამისო უნარი მას ოჯახმა და საზოგადოებამ ჩაუკლა.

რომელი ჩვენგანი არ შეხვედრია ისეთს მაგალითს, როცა დედა შვილს რასმეს უშლის და უჯავრდე[illegible] მამა ქომაგობდეს? შვილი არა თუ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებასაც უბედავს, მაშინ როდესაც მამა მზგავს სიტყვას იშვიათად შეკადრებს.

თამარ ქეთევანი და სხვა ძველი დედები ასეთს მდგომარეობაში, რომ ჰყოფილიყვნენ ჩაყენებული, ჩვენს პატრიოტებს მათი საგალობელი არა დარჩებოდათ რა.

დასავლეთ ევროპაში მართალია ქალი მოქალაქობრივ ცხოვრებას მოწყვეტილია, მაგრამ ოჯახში ის სრული ქალბატონია, რომლის სურვილის წინააღმდეგ ქმარს არ შეუძლია შინ ვინმე შემოიყვანოს. იყოს ეს დედა, და, თუ სხვა ვინმე მისი მეგობარი.

სამსახურის გარედ ქმარი ცოლის უმისოთ იშვიათად, თუ სადმე წავა და „მზარეული" ცოლი იაფად არ დაუჯენს მას დანიშნულ დროზე სადილად მოუსვლელობას.

მაშინ როდესაც ჩვენში ქმარი, არა თუ არ ერიდება ცოლის ლოდინს, არამედ ხშირად ღვინით გალეშთილი ბატონკაცურად თუნდაც შუაღამეზე მოსული სამსახურსაც თხოულობს მისგან. ჩვენში ქმარს უფლება აქვს თუნდაც ნაშუაღამეს დაფა ზურნით მოადგეს ცოლ-შვილს, მთელი ოჯახი ააფორიაქოს და მძინარე დიდი და პატარა ლოგინიდან წამოყაროს, რაიც ევროპიელისათვის წარმოუდგენელია.

არ იფიქროთ, რომ ეს მარტო თავადაზნაურობაში ხდებოდეს. ასეთი ლუქნური ცხოვრება შემოიტანა ჩვენში ბიუროკრატიულმა სალდათობამ, რომლითაც ყველა წოდება ერთნაირად მოიწამლა.

დღეს ქართველი ქალის ოჯახური ცხოვრება უმრავლეს შემთხვევაში ისეთს ჯოჯოხეთს წარმოადგენს, რომელშიაც ჩახედვაც საზარელია.

უზნეო, უდარდელი, მოურიდებელი ქმარი, გაბრიყვებული შვილები. ხშირად, სილარიბე, სნეულობა და ცრემლი,-აი ბედნიერება, რომელსაც ულოცავენ მას ჯვარის წერის დროს.

ფიზიკურად დასნეულებული, გონებრივად განუვითარებელი ქართველი ქალი წარმოადგენს სერიოზულ [illegible] როგორც დედა მომავალი თაობისა [illegible] ვინც დღეს სამშობლოს ჭირისუფლად გამოდის და მიუცილებელ საჭიროებათ არ სახავს ძირითად რეფორმებს ქართველი ქალის მდგომარეობისათვის და ნაცვლად მისი პიროვნული აღდგენისა და მოქალაქობრივი ცხოვრების განმტკიცებისა, დედალ მამალურ ავნებათტკბილო იდეას სთესავს ის,—მტერია ქართველი ერისა.

ვერა ნიკოლოზის ასული ფიგნერი

ვერა ნიკოლოზის ასული ფიგნერი, რომლის ქმრის გვარი არის ფილიპოვი თავისი დაბადებით და ცხოვრებით ეკუთნოდა იმ მაღალს წრეს, სადაც ნივთიერ გაჭირვებას არ იცნობენ. შთამომავლობით არისტოკრატკა, ახალგაზრდა, ლამაზი, განათლებული ქალი სტოვებს ვარდ ყვავილებით დაფენილს გზას და ღებულობს წამების ჯვარს იმ ერთად ერთი სურვილით, რომ თავი ამსხვერპლოს ხალხის კეთილ დღეობას. ციურიხელი სტუდენტკა ის კიდევ 1875 წ. შემჩნეული იყო „50"—თის პროცესში მოსკოვის ორგანიზაცია; და განთავისუფლებულც მხოლოდ მხილების ალმოუჩენლობით. შემდეგ ამ პროცესისა ის ორი წლის განმავლობაში მხურვალე პროპაგანდას ეწევა სარატოვისა და სამარის გუბერნიაში. ვერა ფიგნერი ამ ადგილებში ფერშლის სამსახურს ეწეოდა, ჯერ სამარის გუბერნიაში ს. სტუდენცში და შემდეგ პეტროვსკის მაზრაში. ვორონეჟის ყრილობის შემდეგ ვერა ფიგნერი თამაშობს ერთს უმთავრეს როლს რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1879 წ. ის ეხმარება ისაევს დინამიტის მომზადებაში იტალიის ქუჩაში ნაღმის გასაყვანათ ოდესაში. დიასახლისობს კონსპირატიულ ბინას, საიდანაც გადასცემს დინამიტს გოლდენბერგს მოსკოვისათვის. 1881 წ. 1 მარტის საქმეში მის ბინაზე ვოზნესენსკის ხიდთან ამზადებენ ყუმბარებს და სხვა. როგორც წევრი აღმასრულებელ კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციისა ფიგნერი ასრულებდა უმთავრეს როლს ყოველს სარევოლიუციო საქმეში. 1883 წ. დეგაევის გამცემლობით სამხედრო ორგანიზაცია განადგურებული იქმნა და ყველა მისი წევრები დასჯილი. სასჯელიდ ფიგნერს შლისენბურგის [illegible] მაგრეში დატუსაღება მიუსაჯეს, სადაც მან 24 წ. გაატარა და თავისი [illegible] ზნეობრივი სიძლიერით შეინარჩუნ[illegible] ლიერი ძალა და ტანმრთელობა. [illegible] მოუშვეს შლისემბურგიდან 17 ოკტ[illegible] მანიფესტით ძალით და რევოლ[illegible] ბისთანავე საზღვარ გარეთ გადა[illegible] და უკანასკნელ ხანამდე ცხ[illegible] პარიზში.

და დაჰკრა თუ არა თავისუფლ[illegible] რმა ბრუნდება რუსეთში, და თავისი ხა[illegible] და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი შვ[illegible] დღეს ის ჩაგრულ დების უფლების [illegible] დგენათ გამოდის და როგორც ერთი უკეთილშობილესი და უძლიერესი პიროვნება დედრობითი სქესისა წინ მიუძღვის იმ დროშას, რომელზედაც „ქალთა პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება" სწერია.

მოწოდება

ქართველო ქალებო!

გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა', თქვენი უფლების დამცველია. მისი მოვალეობაა ჩვენი პრაქტიკულ მუშაობის იდეური ხელმძღვანელობა. ამ მოვალეობას ჩვენ შევასრულებთ თქვენი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარებით. შემოიკრიფეთ თქვენი ძალ ღონე და დაგვეხმარეთ წერით და საქმით. გამოგვიგზავნეთ კორესპონდენციები დაბა სოფლებიდან, გააძლიერეთ გაზეთის ფონდი. აღიჭურვეთ მხნე სურვილით, რომ ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში ამოღებული ხმა ქართველი ქალისა არ ჩაწყდეს. ჩვენი მამაკაცები არ მოელოდნენ ამ ხმას. დღეს მათ მოისმინეს იგი. ვეცადოთ ხანგრძლივი იყოს ,,ხმა ქართველი ქალისა''. მოგვეხმარეთ!

ჩვენ იძულებული ვიყავით გაზეთი გამოგვეცა პატარა ფორმატის ქაღალზე, რის გამო გაზეთის ფასიც დაკლებულია.

რედაქცია

დეპეშები.

პარიზი 12 აპრილი. ჩამოვაგდეთ 6 გერმანელთა ფრინავი აპარატები.

პეტროგრადი სახალხო განათლების მინისტრმა გაუგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ცირკულიარი რომლის ძალით ყველა სამხედრო ბეგარის ქვეშ მყოფ პირთ ნება აქვთ განურჩევლათ წლოვანებისა სახელმწიფო ევზამენები ჩაბარონ როგორც უნივერსიტეტში ისე სხვა უმაღლეს სასწავლებელში

ჰელსინგფორსი დეპუტატთა ჯგუფმა სეიმში შეიტანა პროექტი 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებისა.

ახალი ამბავი

შაბათს, 15 აპრილს ქ. ქუთაისში დაითხოვეს ყველა სასწავლებლის მოსწავლეები. გამოცდები დაენიშნათ მხოლოდ მათ, ვინც წლის განმავლობაში ცუდად სწავლობდა. დანარჩენნი კი გადაყვანილ იქმნენ წლიური ნიშნების მიხედვით.

◆ არ იქმნა, ჩვენი ხალხი კიდევ ვერ გადაეჩვია იმ უკიდურეს მხეცობას, როგორიცაა ქალის მოტაცება. ერთ ასეთ სამწუხარო შემთხვევას ჰქონდა ალაგი ამ დღეებში. ს-ში (ქუთ. მაზრა) მაგრამ ქალის ჭირისუფალს დროზედ შეუტყვია ეს და ბოროტგამზრახველს იმედი გაცრუებია. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ საზიზღარ საქციელს.

28 მაისს ქუთაისის საადგილ მამულო ბანკში დანიშნულია კრება. კრებაზე განსახილველია სხვა და სხვა საკითხები.

◆ ქუთაისის ზოგიერთი ვაჭრები დიდ უწესოებას ჩადიან. ვინაიდან აღმ. კომ. მიერ შემუშავებულ ნიხრზე არ სურთ მათ ვაჭრობა, საქონელს მალავენ, რაიც მტკიცდება მითი, რომ ამ ბოლო ხანებში მათი გაჩხრეკის დროს ბევრი გადამალული საქონელი აღმოაჩინეს.

◆ ს. სალხინოში (ქუთაისის) არსდება ვანის კოოპერატივის განყოფილება, ვინაიდან ხსენებული მომხმარებელი საზოგადოება მოშორებულია სალხინოზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

კავშირი ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა.

რევოლიუციის პირველ დღეებში დაიბადა აზრი ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე ქალთა ორგანიზაციის მოწყობისა, რომლის მიზანია არსებულ ისტორიულ მომენტში ქალების მონაწილეობის მიღება ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად რუსეთში.

ასეთს აზრს დიდი თანაგრძნობით შეხვდენ, არა მარტო ცალ-ცალკე ქალთა ჯგუფები, არამედ მთელი ორგანიზაციები. ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციათა კავშირის მოწყობა დღეს უკვე მიღებული და გარდაწყვეტილია. კავშირთა საორგანიზაციო კომიტეტის სურვილია, რომ აცნოს საზოგადოებას, როგორც მისი მიზანი, ისე ის პრინციპები, რომელზედაც ის დამყარებულია.

ქალთა კავშირი თავის მიზნათ ისახავს ქალთა ორგანიზაციულად შეერთებას რუსეთის პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლად, რომლის დროშაზე ,,დემოკრატიული რესპუბლიკა'' სწერია.

გარდა ამ საერთო მიზნისა, ქალთა უმრავლესობის პოლიტიკურ ცხოვრებისათვის მოუმზადებლობა კავშირს უყენებს თავის სპეციალურს საკითხსაც:

ა) ფართო პროპაგანდა დემოკრატიულ იდეებისა ბ) გავრცელება საჭირო ცოდ[illegible] ბის მისაღებათ. გ) განმარტება დღევანდელი ისტორიული მომენტისა. დ) მოქალაქობრივი სულის აღდგენა და განვითარება ქალში. ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი საჭიროთ სცნობს, პროპაგანდის ქალთა ლაშქარის შექმნას, რომელნიც შეკავშირებული იქნებიან განსაკუთრებულ საგიტაციო განყოფილებაში.

აზრათა აქვთ მოაწყონ დემოკრატიულ იდეების გავრცელება იმ ქალებშიაც, რომელნიც არავითარ პროფესიანალურ ორგანიზაციებს არ ეკუთვნიან, როგორიც არიან მაგალითად მეოჯახე ქალები, მ[illegible]

საზარელი მტარვალობა.

როგორ დავიცვათ თავი.

Ш.

მამაკაცების ხელახალი აღზრდა სქესობრივათ წარმოადგენს ჩვენი დროის უმთავრეს საჭიროებას.

მათი ტვინი გატენილია უვიც და ბიწიერ ცრუმორწმუნეობით შესახებ მათი სქესობრივი ბუნებისა.

ისინი იცავენ იმ აზრს, რომელიც ეწინააღმდეგება ექიმთა შეხედულობას და რომელსაც მიჰყავს სამწუხარო შედეგამდე, როგორც თვით ისინი, ისე დედაკაცები და რასა. მიუხედავათ ექიმთა მტკიცებისა, რომ უბიწო თავ-დაჭერილი ცხოვრება არასოდეს არ იქნება მიზეზი ავათმყოფობისა მაშინ, როდესაც ავხორცობა წარმოადგენს უდიდეს მტერს ტანმთელობისათვის მილიონი მამაკაცები მაინც წინააღმდეგს აზრს იცავენ.

მამაკაცების უვიცობით და ცრუმორწმუნეობით ითვლება პროსტიტუცია მიუცილებელ საჭიროებათ, რომელნიც თავიანთ უზნეო მიმოსვლას პროსტიტუტკებში უწოდებენ „ბუნებრივ ფუნქციის მოხდას" და მათ მოწინააღმდეგეთ კი აბრალებენ ბუნების დამახინჯებას.

ბუნება! თითქო ბუნებამ არ მიუსაჯა სქესობრივ მიწიერებას უსასტიკესი სასჯელი, ის უცნაური სნეულება, რომლის გამო იხლანდელი ექიმები ყიყინას სც[illegible] შედეგი პროსტიტუციისა.

[illegible] ბრივი დედაკაცი და[illegible] ავშირი უსიყვარულოთ და სულიერ, სიმპატიის გარეშე ამდამბლებს ადამიანის ღირსებას.

რომ ასეთი კავშირი აკრძალულია, თვით ბუნებისაგან, რომელსაც ის სჯის უფრო სასტიკათ, ვიდრე სხვა რომელიმე ცოდვას. სანამ მამაკაცები სქესობრივ საკითხში არ შეითვისებენ იმ აზრს, რომელსაც ადგია ყოველი ნორმალური დედაკაცი, კაცობრიობაც მოწამლული იქნება. მამაკაცები ერთობ უსიამოვნოთ ისმენენ ხოლმე სიმართლეს და კიდევ უფრო ნაკლებ უყვართ სამართლიანათ მოქცევა.

მათი მიუწდომელი იდეალია იცხოვრონ მიწიერად და თანაც აიცილონ თავიდან შედეგი მიწიერებისა. ახლაც კი, როცა კითხვა ეხება კაცობრიობის ჯიშის კეთილდღეობას ისინი ეთამაშებიან უდიდეს საშიშროებას და ამტკიცებენ, რომ გარყვნილობას შეუძლია სარგებლობის მოტანა.

პირველ ყოვლისა ისინი გვიცხადებენ, რომ იპოვნეს საშუალება, რასაც ეძებდენ მთელი საუკუნის განმავლობაში, საშუალება—განუკურნებელ სენიდან განკურნებისა!

თითქო ბუნებას სურდა აერჩია სხვა გზა ამ სენიდან განთავისუფლებისა გარდა უბიწოებისა.

ეგ საშუალება არის ესოდენ ნაქებ-ნადიდები წამალი სალვარსანი*) და მამაკაცები ისე საუბრობენ მაზე, როგორც პატენტზე თავისუფალ გარყვნილებისათვის.

მაგრამ რა ვიცით ჩვენ ამ წამალზე? მისი ნამდვილი მკურნელი თვისება სრულიად არ არის დამტკიცებული. ექიმების აზრი ამ წამალზე ერთობ სხვადასხვაობს.

მათ არ შეუძლიათ უარყონ ის საბედისწერო ფაქტები, რომელსაც იწვევს ამ წამლის ხმარება.

მხოლოდ ეხლახან გამოირკვა მიზეზი 42 კაცის სიკვდილისა, რომელნიც გამოესალმენ წუთისოფელს ამ წამლის შესხურების შემდეგ. საწამლავის ექსპერტი დ-რი ვილკოქსის აზრით სიკვდილით გამოწვეული იყო ორგანიზმის თანდათანი მაშიაკით მოწამვლისა გამო, რომელიც ურევია სალვარსანში.

საფრანგეთის ავტორიტეტული ექიმი მ. გალიპო თავის ტრაქტატში სიფილისის გავრცელებაზე ამბობს: „სალვარსანი ერთობ სერიოზულს ნაკლს შეიცავს და მისი სარგებლობა დიდათ არა ობსოლიუტური. ბევრ შემთხვევაში მისგან ავათმყოფი არ იკურნება, და რამოდენიმე ხნის შემდეგ ახალი ნიშნები უჩნდებათ. მეორე არც მისი ხმარებაა ადვილი, მე ვიცი ასამდე სიკვდილი, როგორც შედეგი მისი ხმარებისა.

ეს რიცხვი უეჭველია სინამდვილეზე ნაკლებია, რადგან ინტიმურს დრამას ჰყავს მხოლოდ ორი მოწმე: ავათმყოფი და ექიმი. და როცა პირველი კვდება ექიმის ინტერესი, რომ ამაზე სდუმდეს იმდენათ დიდია, რომ ის უნებურად შედის ამ ცდუნების ქვეშ.

დ-რი მარშალი ხირურგი ბრიტანიის ჰოსპიტლისა კანის ავათმყოფობის ს[illegible] ციალისტი (კონგრესზე, რომელსაც ა[illegible] გილი ჰქონია რამოდენიმე თვის წინათ) სრულიად უარჰყოფდა სალვარსანის მკურნელ თვისებას. „ისეთ სენზე, როგორც სიფილისია, ახალს წამალს მკურნელობითი თვისება ათას წლამდე ადრე არ გამოჩნდებაო ამბობს იგი. მისი უმთავრესი ძალა იმაშია, რომ შეუძლია მოგერება მეორე და მესამე და რწყვილი სიფილისტიურ მოვლენისა.

ასეთი აზრის არიან სალვარსანზე მედიცინის მრავალი ავტორიტეტნი.

ყველასათვის ცხადია, რომ ის საშუ[illegible] ლება, რომელიც უსასტიკეს და უს[illegible] გრძლივეს სენის მკურნელად ითვლ[illegible] თავის თავად უკვე წარმოადგენს ორთ[illegible] მხრით მჭრელს იარაღს.

და ჩვენ ისევ ვუბრუნდებით იმ უ[illegible] ველს ჭეშმარიტებას, რომ ერთად ერ[illegible] საშუალება თავის ხსნისა მდგომარეობ[illegible] სქესობრივ უბიწოებაში. მხოლოდ ერთი სა[illegible] შუალება, რომლითაც მამაკაცებს სურთ თავის მოგერება თავიანთი ცუდი ყოფა-ქცევის შედეგიდან, არის **სახელმწიფო რეგლამენტაცია** და მით გარყვნილობის დაკანონება.

ზოგიერთს სურდათ ამ სისტემის სხვა და სხვა სახელის ქვეშ დამალვა. მხოლოდ ერთს ადამიანს ჰქონდა გამბედაობა თავის აზრის გამოთქმისა. ეს ვაჟბატონი არის მაიორ ფრენჩი სამეფო არმიისა სედიკურ კორპუსიდან. ლაპარაკობდა ის, როგორც წარმომადგენელი მთავრობისა

---

*) 606.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაფეები და სხვა; პრაპაგანდა სოფლელ ქალებში, მათ შორის სასოფლო ორგანიზაციების მოწყობა და ამ ორგანიზაციებში მიზიდვა ადგილობრივ ინტელიგენტ ქალთა მაგალითად ბებია ქალებისა, ექიმი და მასწავლებელ ქალთა.

ასეთი არა პარტიული ორგანიზაცია აერთებს დემოკრატიულ დროშის ქვეშ პროფესიანალურ კავშირებს და პარტიულ ორგანიზაციებსაც. „დელო ნაროდა".

P. S. ნეტავ როდის შეიგნებენ ჩვენი პარტიული ფანატიკოსები, რომელმაც ამდენი აურ ზაური ასტეხეს ქუთაისის ქალთა კლუბის გარშემო საჭიროებს ასეთ ორგანიზაციის მოწყობისას.

ლენინის უტაქტობა.

„ბოლშევიკების" ლიდერის ლენინის საქციელს, რომელმაც ისარგებლა გერმანელების დახმარებით რუსეთში წამოსვლის დროს და შემდეგ ომის წინაამდეგ გაილაშქრა და რევოლიუციის მომხდეთ საფრანგეთისა და ინგლისის საელჩოები დასახა. „**Земля и Воля**" უტაქტობას ეძახის ლენინის ასეთ საქციელს. „**Рабочая газета**" საზრით ლენინი ხელს უწყობს რეაქციას. უფრო საკვირველი ისაა, რომ როცა გერმანიამ ლენინი თავისუფლად გაატარა თავის საზღვრებში, ამავე დროს მთელი ემიგრანტები, რომელნიც სამშობლოსაკენ მოემგზავრებოდენ მისმა პირატებმა გზაში დაღუპეს, რომლიდანაც მხოლოდ 5 კაცი გადარჩა ცოცხალი.

სეპარატიული ზავის გამო.

ამერიკელ კონგრესის წევრთა სოციალისტ მეიერმა სახელმწიფო სათათბიროს წევრს ჩხეიძეს ტელეგრამით მოსთხოვა ავტორიტეტული უარყოფა იმ ხმებისა, თითქო რუსის სოციალისტები ხელს უწყობდენ სეპარატიული ზავის შეკრას გერმანიასთან. რაიც შესრულებული იქნა.

ქალთა ყრილობა.

მოსკოვში 7 აპრილს ქალთა ყრილობაზე წამოყენებული იყო საკითხი ქალთა ორგანიზაციების შეერთებისა მიუხედავად პარტიული, თუ ეკონომიური სხვადასხვაობისა საერთო უუფლებობის ნიადაგზე. როგორც მოსალოდნელი იყო იქაც აღმოჩნდენ წყლის ამღვრევნი პირნი მაგალითად ქ-ნი ჩერნიაკი, რომლის სიტყვამ დიდი მღელვარება გამოიწვია. მან მიმართა თავის ამხანაგებს შემდეგი სიტყვებით: „ვინც კი კლასობრივი თვალსაზრისით უცქერით ამა თუ იმ მოვლენას დასტოვეთ დარბაზი, ვინაიდან იქ უმრავლესობა ბურჟუა ქალებია, რომელთანაც საერთო პროლეტარ ქალს არაფერი არ უნდა ჰქონდეთო" ქ. ჩერნიაკის სიტყვამ მხოლოდ მცირე რიცხოვან ქალებზე იქონია გავლენა, რომელნიც გაყვენ მას.

ამ ინცინდენტის შემდეგ გამოდის ქ ნი აქსელროდი მცხოვანი მოღვაწე ს. დ-იულ პარტიისა და თავისა და თვისი ამხანაგების სახელით აცხადებს, რომ ისენი რჩებიან კრებაზე და ს. დემოკრატ ქალის ჩერნიაკის საქციელს უწოდებენ სექტანტობას, რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს რევოლიუციას.

ვაშა, ვაშა.

ჰე ვაშა, ვაშა ქართველთა
მანდილოსნების გამოსვლას,
ვუსურვებ, ძველი მონობის
სწორ უფლებაზე გამოცვლას.
ერთსულოვნება ამათი
მძლავრ-მოქმედების ხატია,
და მიზნის მისახწეველათ
შეურყეველი ტახტია.
ქალი სულია კაცისა,
სატრფო, სიცოცხლის საგანი
და განა მისთვის შეჰფერის
სახლში ჩაკეტა... საკანი?!
უმისოთ კაცის ცხოვრება
არა ღირს არც ერთ ფარათა
რიგია კაცი და ქალი
რომ იყოს ბარის ბარათა.
რომ ქალის ნიჭი სრულია,
მისი გენია თვისება.
მეოცე საუკუნეში
დაგვჭირდა ამის მტკიცება?!
რუსთველმა გენიოსურათ
განმარტა ცხადზე ცხადია:
„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს გინდა ხვადია".
ისტორიული ფაქტები,
ვინ მოთვლის გვეტყვის რამდენსა,
ქალის მხნეობას, სიქველეს,
სიკეთეს, სიდიადესა...
ნინო, ქეთევან, თამა[illegible]თასი გაწამებული
რომელი ერთი ვახ[illegible]
ქვეყნისთვის თავდა[illegible]
ქრისტესთვის წამებ[illegible]ზე
ვინ იტყვის თითქო [illegible]
ეს დღეის მომენტს რამდენი [illegible]
ემსხვერპლა სახრჩობელაზე?!
და ეხლა მაინც [illegible] თქვას
ვისაც სიმართლე [illegible]:
„ლეკვი ლომისა ს[illegible]ია
ძუ იყოს გინა ხვადია".
ჰე ვაშა მანდილოსნებსა
და მათ ემანსიპაციას,
მათ მიზანს სწორუფლებიანს
და მათს საერთო ფრაქციას.

რ. საჯავახოელი.

დამაკვირ[illegible]

რასთვის უნდა ფიქრობდენ, რომ თითქოს ქალები თავიანთი ბუნებრივი არსებით ვერასოდეს ვერ გახდებიან სრულწლოვანი? სასჯელის დროს მათ ეპყრობიან, როგორც მოზრდილთ და არა ისე როგორც მცირე წლოვანთ. დამნაშავე ქალში ხედავენ, როგორც ჰკუას, ისე ბოროტ ნებასაც და უცქერიან მას, როგორც დამოუკიდებელს პიროვნებას, რომელიც სრული პასუხის მგებელია თავის მოქმედებისა. როგორც გნებავდეს, მაგრამ ეს არ არის ლოგიკური მჯელობა.

ბოშარში.

ქალთა უფლებისათვის ბრძოლა და მათი ინტერესებისათვის—არის ბრძოლა ჩვენივე ინტერესებისათვის.

მამაკაცს ბადებს დედაკაცი და ამისთვის, რაც გამოსადეგარია ქალისთვის, სასარგებლოა მამაკაცისათვის.

ჟირარდენი.

ქვეყნის ცივილიზაცია მითი იზომება, თუ რას ფიქრობენ და რა იციან მისმა ქალებმა, რომელნიც გადასცემენ ახალ თაობას თავიანთ აზრსა დაშეხედულობას.

ლონფელო.

უმთავრესი სიავე, რომელიც დედაკაცს აყენებს იმაზე დაბლა, რაც მას შეეძლო ყოფილიყო, სიავე რომელიც ძირს უკრის მისი სიცოცხლის მნიშვნელობას— არის ფართო, სასარგებლო საქმის უქონლობა.

„ახალი პოეზიის" მოტრფიალეთა საყურადღებოთ.

საერთაშორისო ქალი.

(თარგმანი.)

მირაბომ ერთობ ასიამოვნა თანამედროვე კატონები როცა სთქვა, რომ„ ფულისათვის დედაკაცს შეუძლია ყველაფერი, და თითქმის კარგი საქმის ჩადენაც"-ო,

და რაც ცნობილმა გრათმა შეამჩნი[illegible] თავის უფრო წიგნში, თავისი [illegible] [illegible] მეორედება [illegible], სამაგალითო აზრი, დამახასიათებელი დედაკაცის თვისებისა.

ნამდვილად კი საქმე ეხება იმ იშვიათ ქამელეონის არსებას, რომელსაც ტიტულად პარიზანკას უწოდებენ და რომლისათვის უფრო ნამდვილი იქნებოდა რომ დაერქმიათ ტიპი საერთაშორისო ქალისა, რადგანაც ის აღიარებს რწმენას ვაჭრულ კოსმოპოლიტიზმისას: ,,სადაც სჯობია, იქ არის სამშობლო''.

ჩვენი დროის კატონებისათვის, რომელნიც დასტირიან მოაზროვნე დედაკაცში ქალურობის დაკარგვას აქ უთუ

თუ არა ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მან წაიკითხა მოხსენება საერთაშორისო მედიკურ კონგრესზე. ამ მოხსენებაში ის აცხადებდა, რომ „საჭიროა სახელმწიფოს მიერ ნამდვილი კონტროლის მიღება პროსტიტუციაზე, რომ პროსტიტუტკა ქალებს აღნიშნულ ქუჩებში თავმოყრილოთ, ნება არ უნდა ჰქონდეთ ადგილის გამოცვლისა". ეს ქალები პერიოდიულად კვირაში ორჯერ უნდა ისინჯებოდენ ექიმებისგან; და ვინაც კი დასნეულებულია დაუყონებლივ საქიმოთ უნდა გამოაცალონ იქაურობას, რომ განკურნების შემდეგ მამაკაცებს ხელახლა შეეძლოთ მათი დასნეულება.

გარდა იმ ხარჯებისა, რომელსაც მოითხოვს ეგ გარყვნილების მსხვერპლი საზოგადო გადასახადის სახით, მაიორი ფრენჩი უცნაურს სიცრუეს გვიმტკიცებს, რომ მხოლოდ სიფილისი თხოულობდეს ხანგრძლივ აქიმობას და სუსუნატიდან განკურნებისათვის თითქო საკმარისი იყოს ერთი, თუ ორი თვის ექიმობა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ვითომდა მორჩენილი პირთ 3 - 4 წლ. შემდეგ დაუსნეულებიათ სრულიად ტანმრთელი ქალი, ჩვენ აშკარად დავინახავთ საშიშარ შედეგს მაიორ ფრენჩის მოხსენებისას. მაიორ ფრენჩის აზრით მამაკაცები არ საჭიროებენ სავალდებულო გასინჯვას, რადგან მისი თქმით ,,ვენერიულ სენშეყრილი მამაკაცები, იმდენათ საშიშარი არ არის, რამდენათაც დედაკაცი. პროსტიტუტკა ქალს მრავალ მამაკაცთან აქვს საქმე, მამაკაცს კი ამდენ ქალთან ჰყოფნა არ უხვდება'' ო.

ჩვენ კი სულ წინაამდეგს ვამტკიცებთ: ავათმყოფი მამაკაცი გაცილებით უფრო საშიშარია მით, რომ შეუძლია დაასნეულოს და ხშირად ასნეულებს კიდეც თავის ცოლ-შვილს.

სახელმწიფოს რეგლამენტაციით თავის დაცვა მაიორ ფრენჩის სიტყვით დამყარებულია იმ ,,კორდინალურ ფაქტზე, რომ პროსტიტუცია ყოველთვის არსებობდა და სამწუხაროდ იარსებებს მარად''!

სხვანაირად, რომ ვსთქვათ მამაკაცები გარყვნილების ტაძარში ყოველთვის მიიტანებენ მსხვერპლად თავიანთ ღირსებას და ტანმრთელობას თავიანთ ცოლშვილისას.

ჩვენ უკეთესი აზრიანი ვართ მამაკაცებზე და ვფიქრობთ, რომ აღზრდა, რეფორმები თავის საქმეს გააკეთებენ.

დეე მაიორ ფრენჩმა თავის თავზე ილაპარაკოს და არა სხვების მაგიერ.

ის ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც შემოღებული იყო სახელმწიფო რეგლამენტაცია ბიწიერებისა ინდოეთის არმიაში ვენერიული სნეულებაც შემცირდა. მაიორ ფრენჩი უყურადღებოთ სტოვებს მას, რომ ამ არმიის მეთაურნი უკანასკნელ წლებში სცდილობენ შთააგონონ ჯარისკაცებს, რომ ტანმრთელობის თვალსაზრისით საჭიროა ზნეობრივი ცხოვრება. ლორდ კიტჩინერმა შემდეგი განცხადებით მიმართა მათ: „საჭიროა, ვინც ემსახურება სამშობლოს ინდოეთში მიიღოს ყველა ზომები თავის გასაწრთვნელად, რომელიც მისაწდომია ყოველი ადამიანისათვის და დაისწავლოს მმართვა თავისი ვნებითი ლტოლვილებისაო, შემდეგ ლორდ კიტჩენერი ამბობს: „თითოეულს ადამიანს შეუძლია შინაგანი კონტროლით დაიჭიროს არა კეთილი და საშიშარი ლტოლვილი და ხშირად დალუპვამდე მიყვანილი მამაკაცისა"-ო.

სერ ჯ. უაიტმა და ლორდ უოლესლკმ გამოსცეს ჯარისკაცებისადმი ისეთი მიწოდება, რომლის ძალით ვენერიულ სენით დასნეულებული ვინმე მათგანი არა თუ არ მიიღებს რამე წარმატებას, არამედ დაისჯება კიდეც, როგორც დამნაშავე თავის მოვალეობის წინაშე, რამაც დიდი გავლენა იქონია.

უნდა აღვნიშნოთ ისეც, რომ მეტროპოლიაშიც ნაკლებია ჯარის კაცთა შორის ვენერიული სნეულება, თუმცა აქ არ არსებობს სახელმწიფო რეგლამენტაცია გარყვნილობისა არმიის სასარგებლოთ.

ამასთან აღვნიშნავთ იმასაც, რომ მიუხედავათ გარყვნილობის რეგლამენტაციისა ბერლინში, ავტორიტეტული ექიმების სიტყვით თითოეული 30 წ. მამაკაცი საშვალო რიცხვით ავათმყოფობს სუსუნატით და 4—5 მამაკაცში ერთი სიფილისით.

სახელმწიფო რეგლამენტაციის უშედეგობა დღეს ყველა ექიმების მიერ ცნობილია.

მაგრამ თუ, რომ ექიმისა და ქალების აზრი ამ შემთხვევაში უძლური იქნება და მაინც შემოღებული იქნება სახელმწიფო რეგლამენტაცია ბიწიერებისა, ასეთი სისტემის წინააღმდეგ ქალები იბრძოლებენ სამკვდრო-სასიცოცხლოთ. არავითარი დედაკაცების მონობა ამ სახით არ იქნება მოთმენილი ჩვენს დროში.

თუ მამაკაცები გაბედავენ ჩვენს მხარეში იმ სისტემის შემოღებას, რომლის ძალით ცნობილნი დედაკაცები გამოყოფილი და მედიკურ კონტროლის ქვეშ მოქცეულნი იქნებიან გარყვნილობის მიზნით ეს აღნიშნავს სქესთა შორის ომის გამოცხადებას.

მამაკაცებმა კიდეც, რომ შესძლონ დედაკაცთა ერთი კლასის დამცირებით თავიანთი ტანის სიწმინდე, ამით ისინი მაინც ვერ შესძლებენ თავიანთ გონებისა და სულის წმინდათ შენახვას და იმ ქალებს, რომლებმაც სულიერ ემანსიპაციას მიაღწიეს, არავითარი საერთო არ ექნებათ აზროვნებით ბინძურ მამაკაცებთან.

შარლატანი რეგლამენტაცია გარყვნილობისა ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს.

არის მხოლოდ ორი საშუალება უცნაურ მტარვალობიდან თავის ხსნისა: ერთი ქალთა ხმის უფლება, რომელიც მიანიჭებს მას მეტს სიმტკიცეს ხასიათისას და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას, მეორე, —მამაკაცების ზნეობრივი აღზრდა.

კრისტაბელ პანკხერსტი.

(შემდეგი იქნება)

ოთ მოიპოვება უნაკლულო კუთხე დიაცობისა. საინტერესოა ვიცოდეთ საითკენ არის ის მიმართული.

პარიზანკებზე ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა, როგორც, ცუდი ისე კარგი, სერიოზული და სახუმარო, სიცრუე და სიმართლე.

ჩვენ აქ სახეში გვაქვს მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს მათ ტიპიურ თვისებას.

პარიზანკა ე. ი. ის მშვენიერი—საზარელი არსება, რომელზედაც ლეგუვე ამბობდა რომ ის შესდგება სამი სხვადასხვა ნაწილიდან: ანგელოზიდან, ეშმაკიდან და დედოფალადანო" გუსეს აზრით უფრო ძველი შთამომავალია, ვიდრე ჩვეულებრივად ფიქრობენ.

რასაკვირველია საფრანგეთში პარიზანკები ძველი დროისანი არიან მაგალითად გუსე ეძახის პარიზანკას ნინონ-დე-ლანკოს ენამახვილ კურტიზანკას. მონტენანი, პარაბერი, პამპადური-პარიზანკებია. აგრეთვე ტალიანი და რეკამიეც. ქ-ნი დე სტალი არასოდეს არ იყო პარიზანკა, მაგრამ ნამდვილი პარიზანკა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მომდინარეობს ბალზაკის დროიდან, რადგან ყველა პარიზში დაბადებული ქალები პარიზანკებათ არ ჩაითვლებიან.

პარიზანკისთვის არსებობს ორ ნაირი დაბადება—ერთი მაშინ როცა მას პირველად აკვანში ჩააწვენენ და მეორე მაშინ, როცა ის პირველ სადარბაზო კაბას იცვამს.

გუსე ამბობს; „პარიზანკა უცებ გამოიცნობა თავისი პირველი კაბის ჩაცმით"ო, ამისათვის სრულიად არ არის საჭირო პარიზში დაბადება. პარიზანკათ გახდომა შეიძლება პირველ ჩასვლისთანავე ამ მრავალ გვარ მეტარმარფოზის სატახტო ქალაქში.

მაგრამ პარიზანკის სახელი, რომ გაიგლოთ უნდა ჰქონდესთ განსაკუთრებული გემოვნება სიკეკლუცისადმი, უნდა იყოთ ფანტაზიორკა, პატივმოყვარე, და მოარშიყე ღირსი თაყვანისცემისა. მისი უდიდესი ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ არასოდეს არ ემსგავსებოდეს თავის თავს. დღეს ის სხვანაირად გეჩვენებათ, ვიდრე გუშინ იყო და რაც ხვალ იქნება. ის განცვიფრებთ თავისი ცვალებადობით და მოულოდნელი ახირებით. მას ვერასოდეს ვერ გაიცნობთ, რისთვისაც გუსეს სიტყვით იგი მარად უვართ.

მაგრამ იცნობს კი ასეთი ქალი თავის თავს? რასაკვირველია, რომ არა. ის კითხულობს ყველა რომანებს და ყველგან თავის თავს ხედავს, მაგრამ თავის საკუთარ გულში ის ჩახედვას ვერ ბედავს.

პარიზანკა არასოდეს არ ჩაუჭვრეტს თავის აზრებს. ის იკარგება ხალხისა და სხვების კალეიდოსკოპში. ხოლო კომედია ცხოვრებისა არ აკმაყოფილებს მას. მას სჭირია ოპერა. ის ცხოვრობს მხოლოდ დღეს და არასოდეს არ ფიქრობს ხვალინდელს დღეზე.

მისი ფანტაზიური „ციგნური ენება" არის მკვიდრი ენა სხვისი ყურთამენისა, თეის. მასში და ფრანგის ქალში არის დიდი გრამატიკული განსხვავება. ისე როგორც მისი საერთაშორისო თვისებით. ის თავის ტაფაში გრძნობს თავს პარიზელთან, ანუ ფლორენციის, პეტროგრადის და მადრიდის კავალერთან.

აი მაგალითად ოთხი ქალი ჯდება ეტლში—პარიზელი, ინგლისელი, ესპანელი და პროვინციელი. ინგლისელი ქალი არაოდეს არ გიჩვენებს ფეხს, არა მისთვის, რომ მისი ფეხი ულამაზოა, არამედ მისთვის, რომ მან არ იცის ფეხის ჩვენება.

ესპანელი ქალი ერთობ დიდად გამოაჩენს ფეხს. პროვინციელი ცუდად. მაგრამ პარიზელმა ქალმა იცის ზომა, როგორ უნდა გამოაჩინოს იგი, არც მეტად და არც ნაკლებად ერთი სიტყვით მთლად კარგათ გიჩვენებს.

რა არის ეს ფეხი? პარიზელი ქალი ამით ანგარიშობს მამაკაცის თვალებს. ეს—მისი პატარა მსოფლიოა, მთელი პოემა, კითხვითი ნიშანი. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ფეხით პარიზელი ქალი ასრულებს თავის ცხოვრების გზას, თუმცა ის უეტლოთ არ დაიარება.

მას უყვარს ყოველგვარი ზომის ეტლი, ოთხი ადგილიანიდან დაწყებული ომნიბუსის კუპემდე.

რაც შეეხება პარიზელი ქალის ხელებს ეს თავისებური პატარა სასწაულია, ვარდისფერ მარმარილოდან ჩამოსხმული ყველაფერი ლამაზია აქ. ნაზი ცისფერი ძარღვები, რომელიც ხატავს სიყვარულის გეოგრაფიას, როგორც ხელის გულის ხაზები, რომელიც ნიშნავს ბედის ქარტას. ფრჩხილები ვარდისფერ მარგალიტებს გავს. ერთი სიტყვით ამ ხელზე ყველაფერს თავისი გამოხატულობა აქვს, აგრე გასინჯეთ თვით ხელთათმანის ქვეშაც კი. პარიზელი ქალი ცხოვრებას იწყებს მხოლოდ საღამოდან. შუაღამეზე ის აღწევს თავის სიცოცხლის უმაღლეს წერტილს და მხოლოდ იმ დროს გამოდის ხალხში.

მას უყვარს სტუმრების მიღება იმ დროსაც კი, როცა მას არ შეუძლია რითიმე გაუმასპინძლდეს მათ. მან არ იცის როგორ მოადუღოს ჩაი, მაგრამ სამაგიეროთ მან იცის მისი დალევა გრაციოზულათ. სადილის დროს ის უფრო მეტს ზრუნავს ყვავილებზე და ხილზე ვიდრე თევზეულობაზე.

როდესაც საავარაკოთ მიდის და ბინავდება, იქ პირველ ხანებში ის იმდენათ აღტაცებულია, რომ აშინებს საუკუნოთ არ დარჩეს იქ. ჰო რა მშვენიერებაა; „იძახის ის. „რა შესანიშნავი ცაა, როგორი ლურჯი ზღვაა, როგორი მთები, როგორი ტყეები!" მას ყველაფერი ლაჟვარდის ფერად ეჩვენება. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ასეთი აღტაცებისა ჩამოდის პარიზიდან თუ არა მატარებელი, ის თავის ქოლგით მიფრინავს.

არასოდეს არ შეიძლება მისი გამოთვლა, თუ რამდენი ჯდება პარიზელი ქალი და როგორ დიდია მისი ბიუჯეტი.

ერთმა საფრანგეთის ფინანსი[illegible]სტრმა სთქვა: „პარიზანკები, რომ [illegible] არსებულიყვენ ისინი უნდა გაგვეჩ[illegible]

პარიზელი ქალის ბიუჯეტი [illegible] ნონმდებლო კრებაზე ისე ჩქარა ვერ [illegible] დოდა, როგორც ბიუჯეტი სატუ[illegible]ისა. რამდენი სახელები, რამდენი გვ[illegible]ნება! როგორი სხვადასხვანაირობა მა[illegible]ისა, ლენტებისა, ქინძისთავებისა, სავა[illegible]ლებისა, მთელი მუზეუმი მარგალიტე[illegible] და ბრილიანტებისა! ნუღარ ვილაპ[illegible]კებთ საღამურ კორსეტებზე, ფოსტლებზე, ფეხსაცმელებზე, ხელთათმანებზე და შინიონებზე! როგორ ყველაფერი ეს გაბრმავებს, ბრწყინავს და სურნელობას აკმევს! მოსთხოვეთ ფრანგის ქალს ბიუჯეტი და ის გიპასუხებთ: ,,ღმერთო ჩემო მე არაფერარ ვხარჯავ!„ ის კმაყოფილდება საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილებითაც.

პარიზელი ქალის სილამაზე ე. ი. ,,ეშმაკის სილამაზე'' პროვინციელს ქალს რჩება რაოდენიმე სეზონის განმავლობაში, მაშინ როდესაც პარიზანკა ინარჩუნებს მას მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. ის ოსტატია თვალების დახუჭვაზე დაჩოქების დროს ეკლესიაშიაც. ერთი სიტყვით რაც არ უნდა გააკეთოს პარიზელმა ქალმა ის ყოველთვის სცენაზეა. თუ არავინ არ არის, რომ უცქიროს მას, ის მაშინ თვითონ ათვალიერებს თავის თავს. იხედება პირდაპირ გვერდზე განზე, წინ და უკან ერთი სიტყვით ყოველი მხრით. არ არის კუთხე სადაც სარკე არ ედგას მას.

ეს კიდევ არაფერი პარიზელი ქალი თვით ქვეშაგებშიაც სარკით სწევს. ერთი მათგანი თავის თაყვანისმცემელს სწერდა ,,მძინავს ღრმა ძილით, ძილში ვხედავ, რომ მე ლამაზი ვარ და რომ ამას მეუბნებით თქვენ, მალე მოდით და გამაღვიძეთ." რამდენათ პარიზელი დემოკრატია, იმდენათ ის არისტოკრატობს. ის თავის დღეში არ დასთანხმდება სწოროუფლიანობის ხელის მოწერას. ის კმაყოფილია იმ აზრით, რომ მისი სალონისათვის თავადი უფრო შესაფერია, ვიდრე დემოკრატი. და არასოდეს არ აპატიებს მამაკაცს, თუ ის არ არის აზნაური, ლამაზი, და ცნობილი. ის ფიქრობს ფუფუნებაზე, და არა ძმობაზე. თუ რომ ხელები სავსე აქვს ოქროთი ის გახსნის მას თუ ცარიელი აქვს თხოულობს მოწყალებას ღარიბთათვის; და აზრათაც არ მოსდის თავის დამცირება. და გამოდის მართლაც ის, რომ პარიზელი ქალი ფულისათვის ყველაფერს ჩაიდენს თვით სიკეთესაც კი.

აი ასეთი ტიპი, ცბიერებისა, გულცივობისა, ანგარებისა და ვაჭრობისა შემუშავდა იქ, სადაც ძველთაგან დასცინოდენ ყოველს გონიერს მისწრაფებას დედაკაცისას, და დამოუკიდებლობას, რომ პირადი განვითარებისათვის ქონოდა მას ოჯახურ კერის ხარტიაზე მეტი.

დიახ ოჯახისათვისაც ის გამოუდეგარია. მისი გონებრივი სფერა ცარიელი ტიტინია, ჭორი, ტუალეტი, გამოსვლა, ზედაპირულობა, ყოველ სერიოზულ ინტერეს მოკლებული.

მას სჭირია მხოლოთ უსაქმური გარყვნილი მამაკაცები. ასეთი კავშირი ახდენს თავის გამხრწნელ მოვლენას, როგორც საზოგადოებაზე ისე ზნეობაზე.

სამწუხაროთ ეხლანდელი ზნეობის დამცველნი სრულიად არ იწუხებენ თავს იმაზე, რომ დაასწავლონ ქალებს რამე და მით იხსნან ისინი უსაქმურობისაგან და ფუქსავატობისგან. ისინი სწყრებიან უზნეობაზე გაჰყვირიან მის საწინააღმდეგოთ სასტიკ ზომების მიღებაზე, თითქო ვერ ამჩნევდენ მას, რომ ასეთი უზნეობა შედეგია დედაკაცის დამონებისა,

და ნუ თუ ჩვენს მინგრეულ მონგრეულ სამშობლოს, სადაც ამდენი ასაშენებელი და საშრომია, რომელის მოითხოვს მთელი ერის ძალღონის დაჭიმვას, ასეთი ვნებიანი ქარაფშუტები ეჭირება, თუ გონიერი მომქმედი როგორც კერძო, ისე საზოგადო ცხოვრებაში დედაკაცები?

რა საერთო უნდა ჰქონდეს ასეთს ქალებთან ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულს ნაწილს?... ვინ მოგახსენათ, რომ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთათვის ხელოვნების მიზანი ერთი იყოს, პიროვნებისა და სოციალური საკითხის კი მეორე? ხელოვნება საზოგადო ცხოვრების მოთხოვნილებიდან გამოყოფილი არსებობს მხოლოდ უსაქმურ, უდარდელ, სულიერად გახრწნილ მაძღართათვის და არა ჭეშმარიტი შემოქმედთათვის, არა მომქმედი და შებრძოლი ხალხისათვის.

„ბელგიელი გუვერნანკა"

P. s. ასეთი პარიზელი ქალთა ტიპების გამრავლება სწადიათ ,,ახალ პოეზიის'' ქურუმთ საქართველოში.

ქუთაისის ქალთა კლუბის წესდება.

ქალთა კლუბის მიზანია მიიღოს ყოველი საშვალება ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქობრივი უფლების აღსადგენათ და ყოველი ზომები კონტრ რევოლიუციის მოსაგერიებლად.

2. კლუბის წევრებათ ირიცხება ყველა მომხრენი ქალთა სწორ-უფლიანობისა 1 წევრის რეკომენდაციით, მამაკაცები წევრებათ მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანის მიღებაზე არ აღმოჩნდება წინაამდეგი სამი ხმა.

3. კლუბის გამგეობა მოხდება 23 პირის ამორჩეულთ დამფუძნებელ კრების მიერ.

4. კლუბის აღმასრულებელ ბიუროს ანუ კომიტეტს მოვალეობას შეადგენს ბინის მონახვა, პრაპაგანდისტების გზავნა სოფლად და ქალაქებში ქალთა სწორუფლიონობის საჭიროების ხალხში შესატანად.

ლექციების მოწყობა, საზოგადო კრების მიერ დადგენილობის სისრულეში მოყვანა, გამგეობა კლუბის შემოსავლისა, ზრუნვა კლუბის შემოსავლის გადიდებაზე და საამისო საშვალების გამონახვა, ბეჭვდითი ორგანოს განმტკიცება, მოწვევა საზოგადო კრებისა და წლიური ანგარიშის და კლუბის მოქმედების მოხსენება საზოგადო კრების წინაშე. კლუბის გამგეობა ირჩევს სარევიზიო კომისიას და ფინანსიურ კომისიას.

5. აღმასრულებელ ბიუროს კრება მოხდება საჭიროების მიხედვით არა ნაკლებ თითო კვირისა კერძო ბინაზედაც თუ მოისურვებენ და მოიწვევენ.

6. საერთო კლუბის კრებას აღმასრულებელი ბიურო იწვევს ყოველ კვირა საღამოს, ქალაქის სამკითხველოში, 7 საათზე. სადაც წაიკითხება მოხსენება თუ რა გააკეთეს კვირიდან კვირამდე ბიუროს წევრებმა იქვე წაიკითხება ლექციები და რეფერატები.

7. კლუბს აქვს თავისი საკუთარი ორგანო, რომელიც იცავს ქალთა სწორუფლებიანობის საკითხს, ყოველგვარ პარტიულ მიმართულებას გარეშე.

8. ქალთა კლუბის წევრები იყოფა სამ ნაწილად: 1) ნამდვილი წევრები, თანამგძნობი და საპატიო წევრები. ნამდვილი წევრი იხდის წელიწადში არა ნაკლებ 1 მანეთისა. დამფუძნებელნი კლუბისა ყველანი ნამდვილ წევრად ითვლებიან.

საპატიო წევრად ჩაირიცხება ის პირნი, რომელნიც განსაკუთრებულ ღვაწლს დასდებს კლუბს არჩეული საზოგადო კრების მიერ.

თანამგრძნობნი წევრები იხდის წელიწადში არა ნაკლებ 3 მანეთისა.

9. კლუბის აღმასრულებელ ბიუროში შედის 1) თავმჯდომარე, 2) მისი თანაშემწე, 3) ხაზინადარი, 4) მდივანი და მათი კანდიდატები. არჩეული საზოგადო კრების მიერ 1 წლის ვადით.

10. ხაზინადარი ღებულობს კლუბის შემოსავალს ნივთით, თუ ფულით, აწარმოებს ბიუროს მიერ დადგენილს განკარგულებას თავმჯდომარისას, ახდენს ფულის ოპერაციებს, შეაქვს ყველაფერი ანგარიში გასავალ შემოსავლიან წიგნაკში; და ადგენს წლიურ ანგარიშს.

11. მდივანი სწერს კლუბის მოქმედებას, ადგენს ოქმებს ბიუროს, და საზოგადო კრებისას. კრეფს ბიუროდან გასულ ქაღალდებს და წლიურ ანგარიშებს კლუბის მოქმედებისას.

12. კლუბის შემოსავალი: საწევრო ფული, შემოწირულება, გამართული კლუბის მიერ წარმოდგენები, საღამოები, ლექციები და სხვა.

13. სარევიზიო კომისიის უფლებაში შედის შეამოწმოს ჯამი შემოსავლისა, წიგნები, დოკუმენტები კლუბისა და მისი წლიური შემოსავალი. სარევიზიო კომისიაში შედის 3 ან 5 წევრი, რომელიც თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. სარევიზიო კომისია იკრიბება ყოველ საჭიროების დროს არ ნაკლებ 1 თვის განმავლობაში.

14. ფინანსიური კომისიის მოვალეობა კლუბის ფონდის გაძლიერება და საამისო საშუალების გამონახვაა.

15. საზოგადო კრება ითვლება კანონიერად თუ მას დაესწრო ერთი მეოთხედი კლუბის ნამდვილი წევრებისა. თუ რომ კრებას არ დაესწრო აღნიშნული რიცხვი, ის ხელმეორეთ მოწვეული იქნება ერთი კვირის განმავლობაში.

16. საზოგადო კრებაზე საკითხი წყდება ხმის უმეტესობით, მხოლოდ რაც შეეხება წესდების შეცვლას ასეთი საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა თანხმობა ორი მესამედი დამსწრე წევრების რიცხვისა.

გაზეთის შემოწირულება.

ნინო ინასარიძე— 3მ, ანასტასია ქიქინაძე— 1მ, ოლღა ხუნდაძე— 1მ, სერაფიმა ჩხაიძე— 1მ, 35კ, ქეთევან წერეთლისა— 1მ. მარიამ ჩხაკვაძე— 1მ, მარი ნიჟარაძე — 1მ. ლადროსია ფურცელაძე— 50კ, მინადორა ფუთურიძე— 50კ, ქეთ ქორქაშვილი— 1მ, აგრაფინა იაშვილი — 50კ, ეკატერინე გუგუნავა— 50 ნატაშა ლორთქიფანიძისა— 1მ, ირაიდა ეზიკოვის— 5მ, მარუსია ინასარიძე— 50კ, მარგარიტა ყაუხჩიშვილისამ— 1მ, იუსტინე კობახიძე– 1მ, ელენე უგრინოვიჩ— 2მ, ოლღა შენგელია — 3მ, ელენე ხუნდაძე — 3მ, პატუ ხუნდაძე— 3მ, ნინო გუ რიელისა 3მ, ნინო შავარდნაძის ასულ მა — 3მ, ლეო იმნაძისა — 1მ, ქეთო რუაშვილისა— 3მ, მარიამ ხაბურზანი 5მ, ელენე ბარაბაძე— 3მ, ნინო ფან ვასი — 2მ, მარიამ მაჭავარიანი— ალისა ქუთათელიძე— 1მ, ელენე მ ლაძე— 1მ, ევგენია ნ-მიქელაძისა მაჭავარიანისა— 3მ, ნადეჟდა ავანოვისაგან 50კ, ანეტა გველაშვილი 85კ, ეკატერინე მესხისაგან— 50კ, ოლია ლორთქიფანიძე— 3მ, ალექსანდრა კროტკოვისაგან— 1მ, ქალ. იოსელიასაგან— 1მ, მანიულ ლანდიასაგან— 20მ, ქეთო აბესაძე— 1მ, დათიკო ლანდიასაგან–– 5მ, 5კ იუნონა დადიანისა— 3მ, ვერა ბაქრაძისა — 2მ, ოლიმპიადა ლაღიძისა— 25მ ლიზა მაჭავარიანისამ— 3მ.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვი